

## დევიდ მაკი

დევიდ მაკი არის ნიუ-იორკ თაიმსის ყველაზე გაყიდვადი გრაფიკული ნოველის, კაბუკის ავტორი. ასევე მარველის დეარდევილის მხატვარი და მწერალი, რომლის გარეკანიც ნიუ-იორკ თაიმსმა, გაყიდვების მიხედვით სიაში პირველ ადგილას განათავსა (თანაავტორი ბრაიან მაიკლ ბენდისი). დავიდმა შექმნა რეჟისორ ჩაკ პალანუკის ფილმის ფაით კლაბის გარეკანიც. აგრეთვე, არის ავტორი მაკმილანის საბავშვო წიგნისა, მორცხვი არსებები.

მაკმა შექმნა ნახატები ჯესიკა ჯონსის ახალი ტელესერიებისთვის (პიბოდის გამარჯვებული). ეს სერიალი დაფუძნებულია წიგნზე, რომლის თანაავტორიც არის დევიდ მაკი. ამერიკის აკადემიის ჯილდოზე წარდგენილი ფილმის, კაპიტან ამერიკა: ზამთრის მებრძოლი, დევიდმა საროფსკ დიზაინთან ერთად შექმნა ნახატები და ტიტრების თანმიმდევრობის კონცეფცია, რამაც საუკეთესო ტიტრების დიზაინის ჯილდოზე აღიარება დაიმსახურა.

მაკმა საროფსკ დიზაინთან ერთად, ასევე შექმნა ნახატები რობერტ როდრიგესის სერიალ მატადორის ტიტრებისთვის და წვლილი შეიტანა სონის ტელესერიების - ფაურსის დიზაინის შექმნაში.

მაკის ნამუშევრებმა მიიღო შვიდი აისნერის, ოთხი იგალის საერთაშორისო და ჰარვეისა და კირბის ორივე ჯილდო ახალი საუკეთესო ნიჭის ნომინაციაში. ასევე არის არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი.

მაკმა ამერიკული და იაპონური ბაზრისთვის შექმნა ილუსტრაციები და პოლ მაკარტნის, ამანდა პალმერის, თომას ჯეინსის და ვინსენტ დონოფრიოს მუსიკალური ალბომების დიზაინი. ამანდა პალმერისთვის ასევე შექმნა მუსიკალური ვიდეო. დევიდი ქმნის ჰონგ-კონგის სათამაშოების მწარმოებელი კომპანიებისთვის დიზაინს, და ანიმაციას MTV-სთვის. დაწერა და შექმნა რეჟისორ ჯონ ჰუსა და კომპანია ელექტრონული ხელოვნებისთვის ვიდეო თამაშების პერსონაჟების დიზაინი. ასევე ინტერაქტიული, ანიმაციური პრომო შეუძლებელი მისია ოთხისთვის. შექმნა ნახატები ექიმ არუნ გრანდის ესესთვის არამალადობის კულტურა.

მაკმა ტენშუს თეატრალური წარმოდგენებისთვის შექმნა გრიმის დიზაინი, რომელმაც ბროდვეის არაერთი ჯილდო დაიმსახურა.

მაკის მიერ დაწერილი კაბუკის წიგნები, უნივერსიტეტებში სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად არის შეტანილი, ხელოვნების და ლიტერატურის მიმართულების დამამთავრებელი კურსის სასწავლო პროგრამაში. მისი ნამუშევრები გამოფენილია ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმში მიქელანჯელოს, ტიციანისა და რუბენსის ნამუშევრების გვერდით. მის შემოქმედებას სწავლობდნენ დამამთავრებელი კურსის სემინარებზე USC-ში და გამოფენილია ლოს-ანჯელესის ხელოვნების მუზეუმში. იგი მთელ მსოფლიოში კითხულობდა ლექციებს წერასა და მხატვრობაზე, მათ შორის ავსტრალიაში სიდნეის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში და იაპონიაში ტოკიოს, ნაგოიას და ოსაკას

კომუნიკაციების ხელოვნების სკოლაში. საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული ჰარვარდის უნივერსიტეტში, ყოველწლიურ სამეცნიერო-ფანტასტიკის წერით კონვენციაზე სიტყვის წარმოსათქმელად.

მაკმა შოუთაიმისთვის შექმნა დექსტერ ერლი ქათის ეპიზოდების ბოლო ორი სეზონი (პირველად ითანამშრომლა ლეგენდარულ არტისტ ბილ სინკევიჩთან), რამაც მას ამერიკის მწერალთა და პროდიუსერთა გილდიის ჯილდოზე ნომინაცია მოუტანა.

2013 წელს, მაკის ნამუშევრები გუსტავ კლიმტისა და ეგონ შილეს გვერდით გამოიფინა ლოს-ანჯელესსა და ჩიკაგოში.

დევიდ მაკის ნახატები წარმოდგენილი იყო პარიზსა და ბრიუსელში არაერთი წარმატებული გალერეის გახსნაზე, ასევე წიგნის ხელმოწერის ცერემონიაზე. მხატვრის დოკუმენტურმა ფილმმა - ხელოვნების ალქიმია უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა მე-40 ყოველწლიურ მსოფლიო ფილმის ფესტივალზე, ხოლო 2012 წელს მაკი შთამაგონებელი სიტყვით გამოვიდა TED Talk-ზე.

2004 წელს, მაკმა ბრაიან მაიკლ ბენდთან და მაიკ ომინგთან ერთად, მარველის კომიქსების ფარგლებში, ჩამოაყალიბა ახალი მიმართულება, რომელსაც უწოდეს აიკონი. ახალი მიმართულება კომიქსების შემქმნელებს მისცემდათ საშუალებას დაებეჭდათ შემქმნელების საკუთრებაში მქონე კომიქსები: კაბუკი და ფაუერსი. აიკონი განაგრძობს მარველის კომიქსებთან თანაარსებობას და იმ კომიქსების ბეჭდვას, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, მათ შორის ქიქ-ესი.

ვიზარდ მაგაზინის მიხედვით, დევიდ მაკი ხვდება საუკეთესო ათეულში, როგორც მწერალთა ისე მხატვართა შორის. მაკს კაბუკის შექმნამ (ტექსტი და მხატვრობა) საერთაშორისო აღიარება მოუტანა, მისი ინოვაციური ამბის გადმოცემის, სამხატვრო ტექნიკისა და გვერდის დიზაინის უნიკალურობით. კაბუკი ითარგმნა შვიდ ენაზე და მხოლოდ აშშ-ში გამოიცა 2 მილიონ ეგზემპლარამდე. ასევე წარმატებით განხორციელდა კამპანია მოქმედი გმირების სათამაშოების და სხვა ხელოვნების ნიმუშების ხაზის განვითარების მიმართულებით. მაკმა გამოფინა საკუთარი ნამუშევრები ევროპის, აზიისა და ამერიკის გალერეებში და იმოგზაურა არაერთ ქვეყანაში წიგნების ხელმოწერის ტურნეს ფარგლებში. ის არის პირველი ამერიკელი, რომელიც ნომინირებული იყო გერმანიის ყველაზე პრესტიჟული მაქს უნდ მორიცის ჯილდოზე, საუკეთესო იმპორტირებული კომიქსების კატეგორიაში.

მაკმა ილუსტრირება გაუკეთა ნილ გეიმანის და ამერიკული პოეზიის ლაურეატ, ბილი კოლინსის პოეტურ კოლაბორაციას. ასევე მარველის კომიქსებისთვის შექმნა სამეცნიერო ფანტასტიკის ოსტატის, ფილიპ დიკის - ელექტრიკ ენთის ადაპტირებული ვერსია გრაფიკული ნოველის სტილში. ბრაიან მაიკლ ბენდისთან ერთად დევიდ მაკი ახლა მუშაობს ახალ პროექტზე, რაც გულისხმობს კაბუკის ეკრანიზაციას.

